

## 18. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 1994 წლის 12 ოქტომბერი.

### საქართველოს პარლამენტის განცხადება

(...)

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მდგომარეობა კვლავ უკიდურესად დაიძაბა, რაც შედეგია აფხაზური მხარის მიერ წარმოებული პოლიტიკისა, რომლითაც იგი ცდილობს გააჭინაუროს მოლაპარაკებები, შეუძლებელი გახადოს მშობლიურ კერაზე ასი ათასობით ლტოლვილის დაბრუნება.

აფხაზური მხარე გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების დაწყებას უკავშირებდა კოდორის ხეობიდან ქართული საჯარისო ფორმირებების გაყვანას. მიუხედავად იმისა, რომ ხელმოწერილი შეთანხმებების თანახმად ეს ორი საკითხი ერთმანეთთან არანაირად არ იყო დაკავშირებული, ქართული მხარე წავიდა ყოველგვარ დათმობაზე, მაინც ჩატარდა კოდორის ხეობის ინსოპექტირება, რის შედეგადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართული მხარე სრულიად ასრულებს ორმხრივი მოლაპარაკებების დროს მიღწეული შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

მიუხედავად მიღებული საერთაშორისო პრაქტიკისა, აფხაზ სეპარატისტთა წარმომადგენლებმა განსახილველად ჩაიბარეს ლტოლვილთა იმდენად მცირე რაოდენობის ანკეტები, რომ ეს ფაქტობრივად ლტოლ-ვილთა მშვიდობიანი დაბრუნების პროცესის ჩაშლას ნიშნავს.

გარდა ამისა, სეპარატისტები სისტემატიურად მიმართავენ პროვიკაციებს, რათა ხელი შეუშალონ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების დაწყებას. ა. წ. 17 სექტემბერს აფხაზმა მეკობრეებმა ღია ზღვაში რეწვის დროს გაიტაცეს ფოთის თევზსაჭერი სეინერი და კატარდა. დღეისათვის გათავისუფლებული არიან კატარლაზე მყოფი ადამიანები, მათ შორის რუსეთის არმიის ორი მოსამსახურე, ხოლო სეინერის ეკიპაჟის ეროვნებით ქართველი ცხრა წევრის ბედი დღემდე უცნობია.

მიუხედავად უსაფრთხოების გარანტიების შესახებ აღებული ვალდებულებებისა, აფხაზური სეპარატისტი მხარე ქმნის მუდმივი შიშისა და ტერორის ატმოსფეროს ლტოლვილთა დაბრუნების ჩაშლის მიზნით, კერძოდ, გალის რაიონში ტარდება დამსჯელი ექსპედიციები. ადგილი აქვს მკვლელობების, გაუპატიურებების, ძარცვის ფაქტებს. იდენება ქართული მოსახლეობა, კვლავ გრძელდება სასოფლო გზების დანადგვა, რაიონში ბანდიტური ფორმირებების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ე.წ. აფხაზური პო-ლიციის სახელით აფხაზმა "ბოევიკებმა" სოფლებში ნაბაკევსა და ოტობაიაში გადაწვეს 100-მდე სახ-ლი და უკანონოდ დააპატიმრეს უდანაშაულო ადამიანები. იმ ოპერაციებს პირადად ხელმძღვანელობდა სეპარატისტი ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრი. აღსანიშნავია, რომ ზევით ჩამოთვლილი ყველა ფაქტი ხდება "უსაფრთხოების ზონაში", რომელსაც რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები უნდა აკონტროლებდნენ.

საქართველოს პარლამენტი ვერასოდეს შეურიგდება აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორებას და მუდამ დაიცავს აფხაზეთის მოსახლეობის უფლებებს. პარლამენტი მოუწოდებს სამშვიდობო პროცესში ხართულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და რუსეთის ფედერაციას, უზრუნველყონ გატაცებული ადამიანების და ტექნიკის უპირობო და უვნებელი გათავისუფლება და წინ აღუდგნენ სამ-შვი-დობო პროცესის ჩაშლის ყოველგვარ მცდელობას.

**თბილისი, 1994 წლის 12 ოქტომბერი**

**(საქართველოს პარლამენტის უწყებები, # 21-22, 1994 წელი, გვ. 130-131)**